სამშობლო. დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ჭიათურა

1993
ოთხშაბათი
13
მაისი
№19 (10610)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სხივი გამოკრთა

როგორც ქალაქის არაერთი საწარმო, ზუგდიდის სარემონტო-მექანიკური კომბინატიც დიდხანს იყო უმოქმედოდ რესპუბლიკაში დღემდე არსებული მძიმე სიტუაციის გამო. მაგრამ ახლახან, როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა: კომბინატი მიუბრუნდა თავის ჩვეულ საქმიანობას —ჩაის კრეფის სეზონისათვის ჩაის ფაბრიკების მომზადებას. ჯერ-ჯერობით ამ სამუშაოებს წარმართავს მექანიკური საამქრო (უფროსი ლ. კანკია), რომელსაც პირველ კვარტალში გამოშვებული აქვს 7 მილიონ 400 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც წარმოების სრული დატვირთვის მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი საამქროებისა და უბნების მუშაობა შეჩერებულია ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების უქონლობის გამო. ვითარებას საგანგაშოდ ართულებს უგზოობა, საწვავის დეფიციტი, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების მოშლა... არადა მუშაობის შეჩერების გამო უკვე მესამე თვეა კომბინატის მუშამოსამსახურეთა დიდი ნაწილი უმუშევრადაა დარჩენილი. რა ქნან, რით გაიტანონ თავი ცხოვრების ყოველგვარ სასარგებლოდ მოკლებულმა ამ ადამიანებმა? სხვა დახმარებაზე რა გვეთქმის, მაგრამ ხომ არის შესაძლებელი მათ პური მაინც მიეწოდოთ დროულად?

უჭირს ქვეყანას, ჩვენს ქალაქს და ღმერთმა ქნას, რომ ეს გაჭირვება მხოლოდ დროებითი იყოს.

კომბინატის ხელმძღვანელობა (დირექტორი ა. ქუჩულორია) ძალღონეს არ იშურებს, რათა სრულად ამუშავდეს საწარმო, ხვალინდელი დღის რწმენა და იმედი დაუბრუნდეს შრომას დანატრებულ ათეულობით აქაურ მუშაკს.

ა. დაგარგულია.

როგორც ახალაბასთუმანში, ასევე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში დღეს მრავალი პრობლემაა თავჩენილი. იგრძნობა საწვავ-საცხები მასალებისა და ტექნიკის სათადარიგო ნაწილების დეფიციტი, რაც შეიძლება შეივსოს მათი კომერციულ მაღაზიებში შეძენით, მაგრამ მას დღემდე აფერხებს ბანკთან ურთიერთობაში არსებული ბარიერი. კერძოდ, საბაზრო ურთიერთობისათვის მიუღებელი ჯერ კიდევ არსებული მოძველებული ინსტრუქციების არსებობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე მათ უნდა ჰქონდეთ კრედიტების მართვისა და გადაადგილების უფლება.

ახალაბასთუმანში მიწის პრივატიზაციის პირველ ეტაპზე ჩატარდა სახნავ-სათესი ფართობების გადაცემა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შევსების სახით, მაგრამ ცენტრალიზებული დარჩა მომსახურების სფერო, რისთვისაც შეიქმნა მომსახურების სერვისი, რომელთაც დაეკისრათ ტრაქტორების შეკეთება, საწვავ-საცხებით მომარაგება, მიქირავება და სხვა, რამაც ხელი შეუწყო ხვნა-თესვის კამპანიის აგროვადებში ჩატარებას.

მეორე ეტაპზე გათვალისწინებული აქვთ მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ჩაის პლანტაციების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

დღეს სოფლად მოქმედებენ: გლეხთა კავშირი, ნებაყოფლობითი მიწის კერძო ფესაკუთრეები, მეიჯარეები. ბრიგადირების ფუნქციას ასრულებენ გამსხვილებული, საიჯარო ქვედანაყოფის ხელმძღვანელები, რომელთა უფლება—ფოსილებანი გაიზარდა ყოველგვარი ზემოდან დიქტატის გარეშე.

მეიჯარე — მეჩაიეებმა აგროვადებში უზრუნველყვეს ჩაის ფართობებში აგრო ღონისძიებების გატარება. ძირითადში დამთავრებულია ჩაის ბუჩქების გასხვლა.

კითხვაზე, როგორ გაიცემა შრომის ანაზღაურება მეჩაიეებზე, პასუხობს სოფლის გამგებელი ვ. ფარცვანია:

—შრომის ანაზღაურება —მეჩაიეობაში ერთ ბალის ბოლოზე ანგარიშდება. ეს ბალი ერთ ადამიანზე ანგარიშდება. ეს ბალი ერთ ადამიანზე ანგარიშდება. ეს ბალი ერთ ადამიან

ფიქრები კოლხურ კოშკზე

დიდოსტატის გაფრთხილება არ დაივიწყო, პიპა!

ბატონი კონსტანტინე ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში აქვეყნებდა ქართველი ხალხის მტრების მამხილებელ წერილებს.

განსაკუთრებით საგულისხმოა იმ ხანად საქართველოს სახალხო განათლების სფეროში რუსეთის მთავრობის მიერ განხორციელებული რეაქციული პოლიტიკის მისეული ხედვა.

ჩვენს ხელთაა იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილი კ. გამსახურდიას სტატია „სწავლა-განათლების საქმე სამეგრელოში".

ვაქვეყნებთ ამ მასალის შემოკლებულ ვარიანტს:

„ხშირად გაზეთებში გვესმის კორესპონდენტების ჩივილი სამეგრელოს გაუნათლებლობაზე, უვიცობაზე. მართალიც არის, ვგონებ, ამ მხრივ, სამეგრელოს, საქართველოს სხვა ნაწილებზე უფრო მწარე სვედრი აქვს. ხალხი ცრუმორწმუნეობის წუმპეში იხრჩობა. ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ცოტად თუ ბევრად წინსწევს ხალხის გონებრივ განვითარებას, სამინისტროს პროგრამებით დანახჩრებული სკოლაა. ეს-აც აინტერესებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და სვე-ბედი, —მას უფუოდ ესმომეა ვ. ტონნი, ლევიცკები, ენუქიძეები, ამორდიები და სხვა კამპანია თავისი მუნჯური მეთოდით, რომლითაც დასეტყვეს ახლად აღმოცენებული განათლების ჯეჯილი — სამეგრელოში. იმ დროს დასმული დაღი დღესაც ამჩნევია ხალხს.

დიდი მოვალეობა აწევს კისერზე სოფლის მასწავლებლებს და საერთოდ ინტელიგენტებს. მ-გრამ ვინ ასრულებს? მართალია, გზა ეკლიანია და მოლიპული, მაგრამ რა გაეწყობა. სირცხვილი იმ ინტელიგენტს, რომელიც მთქნარების მეტს არაფერს აკეთებს. ურიგო არ იქნება სამეგრელოს ინტელიგენციას მოვაგონოთ პოეტის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

აი, ასე. კოლხური კოშკის მომავალი ბინადრის, თითქმის უწვერულვაშო ყმაწვილის ნააზრევში უკვე იკვეთება ილიასეული პირდაპირობა, აზრის სიმკვეთრე და ლაკონიზმი. და რაც უმთავრესია, ეროვნული სატკივარის გათავისების მამულიშვილური ყინი.

* * *

იტყვიან ხოლმე: საერთო გერმანულ ხასიათში რაღაც გოეთესეული დევსო, საერთო რუსულში—პუშკინისეული და ა. შ. ბატონი კონსტანტინე უფრო ილიას სულიერი მემკვიდრეა. გადავხედოთ მის ნააზრევს. მწერალი ყოველ ისტორიულ ფაქტში თავისი დიდი წინაპრის მსგავსად აღმოაჩენდა მნიშვნელოვან, გადაუდებელ საქმელს და შეანჯღრევდა თვლემა მორეულ თანამედროვეებს. თავის ნაწარმოებებში იგი დაუნდობლად შოლტავდა იმ პატივმოყვარე, ამბიციური ბუნების ქართველთ, რომელნიც ძნელბედობის ყამს პირადულს აყენებდნენ ერის ინტერესებზე მაღლა. ყოველი მისი პუბლიცისტური წერილი მამულის წყლულზე დადებული მალამოა, ეროვნული თავმოყვარეობის შემლახველებისკენ მიმართული მახვილია. კონსტანტინე გამსახურდია იმ ანაფორიანი ბერებისადარი მამულიშვილია, თმა-წვერ აწეწილნი განსაცდელის ჟამს დროშით ხელში რომ მიუძღოდნენ ლაშქარს მტრის შესამუსრავად.

სწორედ ამ სულიერმა სიახლოვემ შეაქმნევინა მას თავისი უსაყვარლესი გმირის გიორგი ჭყონდიდელის სახე. საოცარი მხატვრული სიმძაფრით და ფსიქოლოგიური წვდომით არის ეს სახე დახატული რომან—„დავით აღმაშენებელში", ნაჩვენებია მისი უდიდესი როლი დავით მეფის მიერ გატარებულ ეპოქალურ რეფორმებში. სწორედ ამ პიროვნების შემწეობით მოხერხდა ენის, კულტურის, ეკლესიის, ტრადიციების აღორძინება. ის ედგა მხარში დიდ დავითს ცნობილი რუის—ურბნისის კრების ჩატარებაში. გახლდათ ავტორი კრების მიერ მიღებული ძეგლისწერისა, რომლითაც წერტილი დაესვა საერო, თუ საეკლესიო სეპარატიზტული ტენდენციების, შინა—ფეოდალური პარტიკულარიზმის საშიშ ღელვას.

წარმოდგენაც კი ჭირს იმისა, ბატონი კონსტანტინე ისე წასულიყო ამქვეყნიდან, რომ თავისი ჯადოსნური კალმით არ გაეცოცხლებინა ეს საოცარი კოლოსი—საქართველოს თეორიული, სულიერი ლიდერი, მისი გამაერთიანებელი—გიორგი ჭყონდიდელი.

* * *

სამშობლოს სიყვარული—აი, ის მარად გაუნელებელი, თანმდევი ვნება, გამსახურდიას გმირებს წუთითაც რომ აღარ ტოვებს. ყოველი მათგანი განსხვავებული პიროვნებაა, თვითმყოფადი ხასიათია. ზოგი წარმოშობით ტაოკლარჯეთიდანაა, ზოგი კახეთიდან, ან აფხაზეთიდან. მაგრამ ცხოვრების და აზროვნების წესით ქართველები არიან. მათი მიწიერი სურვილები, თუ სულიერი ზრახვანი ერთიან ქართულ ცნობიერებაში ლაგდება. ამ ზღვარდაუდები სიყვარულით დახატული პერსონაჟებისთვის საქართველო ის ხატია, რომელიც უდიდესი სულიერი ენერგიით მუხტავს და სასწაულების მოახდენად აღაჭურვებს მათ.

სამშობლოს ამდაგვარი მძაფრი განცდით მწერალი თანამედროვე მკითხველში აღვივებს წარსული დიდების მინავლებულ ღველფს, მითაუამინდელი ქართველის ცნობიერებაში გენეტიკურად დაუნჯებული ქედუხრელობის მარად განახლებად ძირებს.

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები ნამდვილი მარგალიტებია, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი. ამჯერად ყურადღება მივაპყროთ ერთერთ მათგანს—„ჯამუს", სადაც ჩვეული მხატვრული ექსპრესიულობით წარმოჩინდება საბჭოთა რეჟიმისადმი ავტორის სრული შინაგანი ანტაგონიზმი.

ბუტირის ციხის ნესტიან საკანში გამომწყვდეულ მწერალს თითქოს განგება მოუვლენს ყაჩაღთა ბანდის მეთაურად სახელდებულ ვინმე სელიმ ეფენდიევს. დაჭრილი, სულთმობრძავი ტუსაღი, თავისი ოდიოზური ბედით სულ რაღაც ერთი ღამის მანძილზე იქცევა ავტორისეული შთაგონების ობიექტად. მასში მწერალი თხრობის დასაწყისიდანვე დებს იმ მხატვრულ კოდს, რომელშიაც გენიალური უშუალობით იშიფრება მოთხრობის დედააზრიც: თვით დეგრადირებული კაცის ქვეცნობიერში შეიძლება მუდმივად გადაინახოს ღირსების გძნობის გადარჩენის ფსიქოლოგიური იმპულსი.

ინკოგნიტო ტუსაღს საკინძის ძირში ქართული ხელით ამოქარგული სახელი „ჯამუ" ამხელს. „დიდხანს ვადექი თავზე, გულნაღვლიანი ვხედავდი, თუ როგორ ერეოდა სიკვდილი ჩემი მამაცი ხალხის ნაშიერის ქედმაღლობას".

ამიტომ ვუწოდებთ ბატონ კონსტანტინეს გულთამხილავ, ჭეშმარიტად დიდ მწერალს. მას ხელეწიფება სრულიად პატარა, უმნიშვნელო დეტალშიც აღმოაჩინოს ძალზე მნიშვნელოვანი და იდუმალი და მიანიჭოს მას ზოგადადამიანური ეღერადობა.

* * *

რატომღაც მეჩვენება, რომ სხვაზე მეტი ალმური დიდოსტატს მაინც დავით აღმაშენებლისა და კონსტანტინე არსაკიძის სიყვარულისგან ეკიდება. დავაკვირდეთ, მართლაცდა რა თვალშეუდგამ სიმაღლეს მიწვდნენ ეს ღმერთკაცები. ერთმა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმა ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. ვერა, ვერ გაუძლო ბაღვაშებისა და აბუთელისძეების ტიპის ქვეგამხედვართა და გველაძუათა თავკერძობამ „მესიის მახვილის" ძლევამოსილებას. მან თავისი კოლოსალური ინტელექტუალური ავტორიტეტით, ხანაც კი ძლიერი ხელმწიფური ნებით დათრგუნა ათასი ჯურის მაბრალობელთა კნინფსიქიკაში მოყვავილე ამბიციურობისა და ორგულობის ბაცილა და ერი საყოველთაო ერთგულებით შეადუღაბა.

დიდ მეფეზე უწინ, მთელი საუკუნით ადრე არანაკლები გმირობა ჩაიდინა კონსტანტინე არსაკიძემ. მან ღალატით, შურით, განდგომის მდაბალი განზრახვით დასუსტებული საქართველოს შუაგულში აღმართა ღვთიური სიყვარულისა და რწმენის იგავმიუწვდომელი ქმნილება — „სვეტიცხოველი".

ეს ფაქტორი ზურგის მძლავრი ქარი აღმოჩნდა დავით მეფის პოლიტიკური ხომალდისათვის. როცა იგი ერთიან საქართველოს კრავდა, უმეტეს ქართველთა გულში უკვე ჩადგმული გახლდათ პატარა სვეტიცხოველი.

ზენაარისგან ხელდასხმულმა მეფემ და ხუროთმოძღვარმა შეძლეს ქვეყნის გაერთიანება. ხოლო ბატონი კონსტანტინეს მხატვრული ძალმოსილებით და მისტერიალური სიბრძით გაცოცხლებულმა აღმაშენებლურ—ჭყონდიდლურმა სულიერებამ დღე საც უნდა გაამთლიანოს ჟამთა სიავით და უგუნურთა ქმედებით დაშლილ—დანაწევრებული საქართველო.

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული სამყარო შეიძლება აღიქვა, განიცადო. მაგრამ ამ შთაბეჭდილებათა სიტყვებით გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. ჩვენი უმწეო კალმით აბა სად მივწვდებით ამ ფანტასტიკური ხილვების პირველ მიზეზს.

ასეთი ნაწარმოებების შექმნა შეეძლო მხოლოდ რაფინირებული ინტელექტის მწერალს, რომ არაფერი ვთქვათ უზენაესისაგან მომადლებულ უნიკალურ შემოქმედებით პოტენციაზე, რომლის ბადალის დასახელება ქართულ პროზაში და ცოტა მის მიღმაც ჭირს. ვინ შემოიტანა და დანერგა ჩვენს მწერლობაში, საერთოდ ქართულ სააზროვნო ტრადიციაში ჭეშმარიტი ევროპეიზმი, ჯანსაღი დასავლური ფასეულობანი? თანაც ქართული წარმართული თუ ქრისტიანული სულიერების წმინდა, წყალუხვი მდინარის შეუმღვრევლად? ბატონი კონსტანტინეს ფანატიკურ ძალისხმევას ანალოგი არ მოეძებნება ეროვნული ღირებულებების პირველქმნილი, წარმართული მითოსიდან მომდინარე ძირების დაცვისა და შემდგომი განახლების სფეროში.

მასავით აბა რომელ მწერალს უქნევია ხმალი კოსმოპოლიტიზმის ბანგისაგან ზოგადქართული, ნაციონალური მსოფლმხედველობის დასაცავად?

რაოდენ ბევრისმთქმელია თვით ერთი მისი ცნობილი პასაჟი „დიდოსტატის მარჯვნიდან: ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, პიპა, ამიტომაც მშვენიერს „უცხოს" უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს", ხოლო საუკეთესო ცერცვსაც „ბერძნულს".

რა უმწეო, გროტესკულ პერსონაჟებად მოჩანან მეფე გიორგის მიერ სინანულით შენიშნული ამ საშიში ანტიქართული სინდრომის დღევანდელი ადეპტები. ზოგი კოსმოპოლიტი რეჟისორი იაპონური კაბუკის, ან აბსურდის თეატრის სტილისტიკის ცოდნით კეკლუცობს, ხოლო მშობლიური წინაქრისტიანული ქართული საბილველ — მისტერიების საოცარ სიმბოლიკაზე წარმოდგენა არა აქვს. ამ თვითაფიშირებით გატაცებულ ნარცისებს ჩაშრეტილი აქვთ ეროვნული სული და სპეციალისტებიც ამიტომ უბადრუკი გამოსდით.

ან რანაირი მამულიშვილობაა ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე დუუმორეული კამათობდე, ხოლო სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტრაგედიებს კი დილეტანტური ამჩატებით რეაგირებდე?

ან ვინ იწამებს შენს ქართველობას, თუ შეგიძლია სენისა და ტემზის სანაპიროზე თვეობით იუურყუტო რომელიმე პრესტიჟული ინოფესტივალის პრიზის მოლოდინში, ხოლო ენგურისა და ჭანისწყლის სანაპიროზე დატრიალებული კოშმარისადმი გულგრილი დარჩე?

არა, ბატონებო! თქვენი „ნიჭი" ფარსმანისეულია. თქვენთვის საქართველო უფრო გეოგრაფიული ცნებაა. ვინემ სალოცავი.

ქართველთა რწმენის ახალი სვეტიცხოველი აღმაშენებლურ—ჭყონდიდელური სულიერებით დამუხტულმა ქართველებმა უნდა ააგონ.

* * *

„წარსულში კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობას „გასაზღვრავდა —როგორც ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს კპ (ბ) მეათე ყრილობაზე თქვა, —მებრძოლი ნაციონალიზმი აშკარად გამოხატული ფაშისტური ელფერით". მწერალ გამსახურდიას მიერ საქართველოს წარსულის იდეალიზ-ცია გამოხატულებაა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა". წერდა გაზეთი „კომუნისტი" 1952 წლის 18 სექტემბრის ნომერში.

აი, თურმე რაში სცოდავდა დიდი მწერალი: მან ამხილა მე-19 საუკუნის ქართული თავადაზნაურობა კოსმოპოლიტიზმისა და ეროვნული ნიჰილიზმის წინაშე ფარ—ხმალის დაყრაში, ჩინ—მედლებთან და ეპოლეტებთან ლაციცში, ხოლო სოციალდემოკრატების მიერ გაბრიყვებული ახალი დროის ქართველობა ილიას გზის უარყოფასა და ბარაბას გზის არჩევაში. უმეცარნი გულში ბოღმას იხვევდნენ იმის გამოც, რომ 1921 წლის 25 მაისს დაბეჭდილი სტატია „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს", იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „საქართველოს ისტორიაში მე არ ვიცნობ უფრო დიდმნიშვნელოვან დღეს".

გონებაშეზღუდულ მედროვეებს აცოფებდათ თვით შემოქმედის ყოვლისმომცველი სიბრძნის დიაპაზონი: სიცოცხლით თრობის დიონისური ყინიდან. იესო ნაზარეველის მორალური ცნებების აღიარებამდე. გულში ქრისტეს სიყვარულით და წმინდა გიორგის შინაგანი ძალმოსილებით ბრძოლის დევიზში, ავტორის პოლიტიკური კრედოც აირეკლებოდა: თანმიმდევრული მტკიცე ქმედებით ქართველ კაცს დაეძლია თავის თავში ქვეშევრდომული სული და იმედიანი მზერა მიეპყრო ბედნიერი მომავლისაკენ.

აი, ასეთი ხედვა „თავახსნილი ამირანისა" არ აპატიეს" სიკვდილის მერეც და ბერბიჭაშვილის სულიერმა შთამომავლებმა ცეცხლს მისცეს „კოლხური კოშკი"—ეროვნული თავისუფლების იდეის ეს ურყევი ციტადელი.

მაგრამ ბრიყვებმა მოიმკეს ფანტასტიკური უკუშედეგი: ამ ხანძრის ალმა უფრო შეადუღაბა ქართველი ერი თავისუფლებისთვის საბრძოლველად. ეს ალი გაუნათებს თარგამოსის შთამომავალთ იბერიულ—კავკასიური ერთიანობისათვის ბრძოლის ნარეკლიან გზას.

ზურაბ ცხონდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტუალური ინტერვიუ

ამ თემაზე საუბარი ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ-ავროსამრეწველო ბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველს გურამ კორკელიას.

რიგორ დავიცვათ კუპონი?

ბატონო გურამ! რამ გახადა ოფა საქართველოს რესპუბლიკაში კუპონების შემოღება? როგორ მიდის მისი მიმოქცევა?

—საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა და ბუნებრივია ეროვნული ფული უნდა ჰქონოდა. ფული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია და მის გარეშე წეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის შექმნა. კუპონების შემოღება კი მოსამზადებელი ეტაპი გახლავთ ეროვნული ფულის დასამკვიდრებლად.

რუსეთმა საქართველო გასული წლის ივნისის თვიდან გამოდეგნა სამანეთო ზონიდან. ანგარიშსწორებები რუსეთთან და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან შეფერხდა. ამავამად ისინი კიდევ უფრო გართულდა, რუსული ფულის უქონლობის გამო. უარყოფითი საგადასახადო ბალანსები გვაქვს. რესპუბლიკის შიგნითაც ვერ ხერხდებოდა მუშა-მოსამსახურეებთან და ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებები.

სანამ კუპონები შემოვიდოდა, თვეების განძაელობაში სახელმწიფო დავალიანება მოსახლეობის მიმართ იყო 70 მილიარდ მანეთზე მეტი, მათ შორის ზუგდიდის რეგიონზე გაეცემელი იყო ნახევარ მილიარდზე მეტი თანხა, პენსიებზე—270 მილიონი, ლტოლვილებზე—20 მილიონი. ეს დავალიანება უნდა დაეფარა კუპონებს.

კუპონების მიმოქცევა რესპუბლიკაში პირველად კარგად წავიდა. ახლა დგება საკითხი, ხელისუფლება შეძლებს თუ არა კუპონის დასაცავი მექანიზმის შემუშავებას.

—რა იგულისხმება ამ მექანიზმში?

—სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც გააძლიერებენ კუპონის პრესტიჟს. ყველაზე მთავარი კი კუპონის დასაქონლებაა, ამ მიზნით აუცილებელ პირობად მიმაჩნია სახელმწიფო სტრუქტურებმა სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის (როგორიცაა ჩაი, ღვინო, ციტრუსი) გაცვლაზე დააწესონ მონოპოლია და შემოიტანონ მის ხარჯზე სახალხო მოხმარების საქონელი, რომელიც გააჯანსაღებს კუპონს.

ფული ფარატინა ქაღალდად დარჩება, თუ მის უკან არ არის საქონელი. რესპუბლიკაში არსებული რუსული ფულის მარაგი გამოილევა, თუ არ ვაწარმოეთ და არ ვაბრუნეთ ჩვენი საქონელი. ამიტომ სისხლხორცეულად უნდა ვიყოთ დაინტერესებული წარმოების დონის ზრდით, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებით. სამწუხაროდ ამაზე ნაკლებად ვფიქრობთ, უცხოური კრედიტებით ბევრხანს ვერ ვიარსებებთ და, საერთოდ, ვერც მივიღებთ ინვესტიციებს, თუ არ მივაღწევთ სტაბილურობას და არ ავამოქმედებთ ეკონომიკას.

ჩვენ უნდა შევძლოთ გამოვუშვათ, ან შემოვიტანოთ აუცილებელი საჭიროების საქონელი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად. მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი იმ კერძო პირებს, კომერსანტებს, რომლებსაც შემოაქვთ სხვადასხვა საქონელი. პირველ რიგში—სურსათი. ამ მხრივ ბანკი დაინტერესებულია შესაბამისი დახმარება გაუწიოს კრედიტებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

დღემდე არც ერთ წარმოებადაწესებულებას სახალხო მოხმარების საქონლის გასადიდებლად და არასახელმწიფო სექტორს არ მოუმართავთ კრედიტებზე. ძირითადად გაცემული კრედიტები მიმოქცევა მიმოქცევის სფეროში (საქონლის ყიდვა-გაყიდვა).

—პრესაში ბევრს წერდნენ, რომ ჩვენი კუპონი საკმაოდ დაცული იქნება ფალსიფიკაციისაგან, მაგრამ პირველ დღეებშივე აღმოჩნდა 5 ათასიანად გადაკეთებული 50—იანი კუპონები. გაკვირვებას იწვევს, რატომ არის კუპონის ნომინალი აღნიშნული მხოლოდ ციფრებით, როდესაც უბრალო საბუთსაც ასლავს თანხის სიტყვიერი აღნიშვნა?!

—კუპონები დაბეჭდილია ინგლისში და ალბათ, ინგლისელებს ვერ წარმოედგინათ, რომ ქართველები ესეთი „ნიჭიერები“ ვიქნებოდით კუპონების გადაკეთებაში.

ისე, ყველა ყოფილ რესპუბლიკის კუპონებს მხოლოდ რიცხვი აწერია.

არის შემთხვევები, როცა კომერციულ მაღაზიებში კუპონებს არ ღებულობენ. კომერსანტები მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ბანკში კუპონებს რუსულ ფულზე არ ახურდავებენ.

—დღემდე ეს საკითხი არა მარტო კომერსანტებს, არამედ ბანკის მუშაკებსაც აწუხებთ. ჯერჯერობით ვერ გადაწყდა მთავრობის დონეზე კომერციულ სტრუქტურებთან დაკავშირებით რეზერვებში არსებული ფულის კუპონებზე გაცვლის საკითხი. მარტო დღეს, რუსული მანეთის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ბანკში შემოდის, ჯეროვნად არ გაიცემა იმ ორგანიზაციებზე, რომლებსაც სჭირდებათ რესპუბლიკის გარეთ სამივლინებო და სხვა დონისძიებებზე. ხშირად გვიხდება ეროვნულ ბანკში ორგანიზაციების გაგზავნა რუსულ მანეთზე გადასაცვლელად.

რესპუბლიკის ინფორმაციის საშუალებებში არაკვალიფიციურად შუქდება მასალები კუპონის დანიშნულებაზე, მის რეალიზაციაზე. ამან უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის ფსიქიკაზე და შიშის სინდრომი გაუჩინა. გარკვეულწილად შეაფერხა კუპონების მიმოქცევა. სანამ ეროვნულ ფულს ველოდებოდეთ, კუპონებს, არავითარი საფრთხე, გაუფასურება არ ელოდება.

ესაუბრა კლარა ფაჩუაშვილი.

ვეტერანების გულის თქმა

მრავალმხრივ სასარგებლო საქმიანობას ეწევა ქალაქის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭო (თავმჯდომარე ბ. ესართია). ორგანიზებულად ვატარებთ პრეზიდიუმის სხდომებს, სადაც გულდასმით განვიხილავთ ცხოვრებით ნაკარნახევ საჭირბოროტო საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ვეტერან ინვალიდთა სოციალური დაცვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. კერძოდ, შეღავათიან ფასებში გავეცით პურის ფქვილი, შაქარი, ხორცი... დახმარება კვლავ გაგრძელდება.

ამას წინათ პრეზიდიუმის სხდომაზე გულდასმით ვიმსჯელეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებისა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიმართვის გარშემო, სადაც დაგმობილია რუსეთის სამხედრო ძალების ჩაბმა საქართველოს საშინაო საქმეებში. გამოითქვა მტკიცე რწმენა აფხაზეთის კონფლიქტის ახლო მომავალში დადებითად გადაჭრის თაობაზე და სურვილი ყოველმხრივ ხელი შეეწყოთ რესპუბლიკაში სამოქალაქო მშვიდობის აღდგენას.

შ. ჯიქია,
ვეტერანთა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვინ იქნება პირველი?

ორი სამშობლოს ყბადაღებულმა თეორიამ უდიდესი როლი შეასრულა „ჰომო სოვეტიკუსის“ ჩამოყალიბებაში. აბა რომელი ჭკუათმყოფელი გახდის სადაოდ დღეს ამ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანის ცნობიერების ფორმირების ბუნებრივ პროცესში ამდაგვარი ხელოვნური ჩარევა არადერს სასიკეთოს არ შექადის პიროვნებას.

აი, რამ წერს ცნობილი დღესტნელი პოეტი თავის წიგნში „ჩემი დაღესტანი“:

ორი დედა ჰყავს ჩემს ხალხსაც, ჩემს პატარა ქვეყანასაც და ჩემს თითოეულ წიგნს. პირველი დედა მშობლიური დღესტანია. აქ დავიბადე, აქ გავეგონე პირველად მშობლიური სიტყვა. აქ ავიდგი ენა და ირბილში გამოვიარე. იგი. აქ მოვიმინე მშობლიური სიმღერები, აქ გავიგონე პირველი სიმღერა...

ჩემი მეორე დედა რუსეთია. ჩემი მეორე დედა მოსკოვია. მან გამზარდა, დამფრთიანა, ფართო გზაზე გამომიყვანა. თვალუწვდენელი ჰორიზონტები, მთელი სამყარო დამანახვა. ორიროდ ადამიანს ცნობიერების ვეშაგან დიდად ვარ დავალებული. მაჰმუდი და პუშკინი—ეს ორი პორტრეტი, ეს ორი ხალიჩა ჰკიდია ჩემი სახლის კედელზე“...

აი, როგორი ცრუიდეოლოგიური კლიშით ხდებოდა „დიდი საბჭოეთის“ მოქალაქეთა მრწამსის, ხელოვნების დამახინჯება. დიახ, დამახინჯება, სხვა სიტყვა ამ მოკლენისთვის ვერ მოგვიძებნია და რაოდენ დასანანია, რომ ამდაგვარი დოგმატური აზროვნების ტყვეობაში მოექცა ოვით უნიჭიერესი პოეტი რასულ გამზატოვი.

რას ვიზამთ. ასეთ პარადოქსებსაც თვალი უნდა გავუსწოროთ უამური ჟამის შვილებმა.

ა. ფელია.

ზუგდიდელებო, დაეხმარეთ!

ახალგაზრდა თუმნელი მერი ვარლამის ასული აბლოთია თექვსმეტი წლის ასაკიდან პირველი ჯგუფის ინვალიდია. მუხლს ქვევით მოკვეთილი აქვს ორივე ფეხი. შემთხვევითმა ტყვიამ ლოგინს მიაჯაჭვა მისი ერთადერთი ვაჟი —გია, რომელსაც სასოებით ზრდიდა მარტოხელა დედა. გია დიდი დახმარება გაუწიეს ზუგდიდელმა ექიმებმა, რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების თითოეული ექიმი მასთან ერთად შეებრძოლა სიკვდილს. ბიჭი გადაარჩინეს, მაგრამ... დღემდე გიამ მკურნალობის კურსი გაიარა საქართველოს თუ რუსეთის ნეიროქირურგიის თითქმის ყველა კომპეტენტურ კლინიკის ცენტრში, ინსტიტუტში თუ საავადმყოფოში, სამწუხაროდ, შედეგი უმნიშვნელოა— გია დამოუკიდებლად ვერ იცმევს, ვერ ჭამს, ფეხზე ვერ დგება. იგი აუცილებლად საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი შესაძლებლობაც, მოგეხსენებათ, არა აქვს აბლოთიების ხელმოკლე ოჯახს.

გია იგორის ძე აბლოთიას სახელზე ბანკში გახსნილია ანგარიში №70077.

ზუგდიდელებო! გამოიჩინეთ გულმოწყალება, დაეხმაროთ გიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავებს არავის წავაბილწვინებ

კარგა ხანია ნაუცბათევად ბარგ შეკრულ ლტოლვილებს არ შეეხვედრილვარ ჩემი ქალაქის ქუჩებში. ვფიქრობდი—გამომცველელი გამოვიდა აფხაზეთიდან, დამრჩენი კი—დარჩა—მეთქი. ამ რამდენიმე დღის წინ, რაც სოხუმის მსიური დაბომბვები დაიწყო, ისევ გამოჩნდნენ განერვიულებული, უიმედო სახეები.

თამარ მაჩიტაძე: მე და ჩემი მეუღლე სოხუმში დაბადებულ—გაზრდილები ვართ. ჩვენი ცხოვრების საუკეთესო მოგონებები გვაკავშირებს ამ ქალაქთან. ბევრმა დატოვა სახლ—კარი და თავშესაფრის საძებნელად საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მიაშურა. ჩემმა ოჯახმა ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე შეწყვიტა ამაზე ფიქრი— ერთადერთი ვაჟი მომიკლეს გამხეცებულმა აფხაზებმა. წარმოიდგინეთ, მკვდარი ძლივს გამოვიხსენით. მიცვალებულის გაპატიოსნება და მიწას მიბარება რომ შეეძელით, მშობლებს თავი ბედნიერად მიგვაჩნდა. სამწუხაროდ, დღემდე ბევრი მკვდარი დაუსაფლავებელია.

ამ დღეებში სოხუმის მასიური დაბომბვა მიმდინარეობს. სახლი დაგვენგრა. ორმოცი წლის ნაშრომი ოჯახი! ეტყობა, მტერს განზრახული აქვს ქალაქში ქვაქვაზე არ დატოვოს. ჩემს თვალწინ ჭურვის ნამსხვრევმა აფთიანი წყლში გადაწყვიტა. უკვე გაუსაძლისია იქ ყოფნა. ზუგდიდში ნათესავები გვყავს. ეროვნული შეგვიფარებს ვინმე უბედურებს. ჩემი გამწარებული ბიჭის ცოლ-შვილი მედარდება. თორემ თავს ვინღა

ლტოლვილებს

ფიქრი

საფლავებს

არავის

წავაბილწვინებ

ჩივინ...

გურამ ჩაჩანიძე: —ცოლი, რძალი და შვილი უნდა შევაფარო. თქვენს ქალაქს. მე ხვალვე ისევ უკან გავბრუნდები, ვიცი. გაწირული ვარ, მაგრამ ისევ შვილი დავმარხე, სიკვდილის შიში არ მაქვს, პრიქით, ჩემთვის სიკვდილი შვებაა. თუმცა, ეტყობა ისიც არ დაბრძანდება ჩვენს გემოზე. არ გვინდოდა წამოსვლა. მეუღლე და რძალი სასტიკად უარობდნენ: რაც დაგვემარ—თება —დაგვემარ-თოსო. ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ. ეს პატარა ბიჭი შვილიშვილია. ჩემი დაღუპული შვილის ერთადერთი მემკვიდრე. ბისი გაწირვის უფლება არა გვაქვს.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ სოხუმში რა ამბებია. ვერ გეტყვით. ისევ თვითონ უნდა ნახოთ, და მიხვდებით, რა გვჭირს ქართველებს. ვიცი, განა არ ვიცი, სანამ ის მესამე" განზე არ გადგება, ამაოა ბრძოლა ნაგრამ... მაინც უნდა ვიბრძოლოთ... შვილის საფლავს, ბისი თანდებრძოლების საფლავს არავის წავაბილწვინებ... ექვსი თვეა ჩემი ბიჭის გულგამოგლეჯილი. სისხლშემხმარი პერანგი მაცვია. ომის დამთავრებამდე არც გავიხდი. აფხაზები აიძულეს ესროლათ ჩვენთვის. წლების მანძილზე აგროვებდნენ იარაღს. ქართველებმა ვიცოდით ეს, მაგრამ რას ვიზამდით? ვერ წარმომედგინა თუ ასე ჯიშიან-ჯილაგიანად ამ ოხოცვას მოგვინდომებდნენ. ვერ წარმომედგინა იმიტომ, რომ ბევრ აფხაზთან ვმეგობრობდი. დღეს კი... ღმერთმა ნუ შემყარა ისინ სადმე, არ გამამტყუნოთ, მათ ერთადერთი ვაჟი მომიკლეს...

საუბარი ჩაიწერა ნ. მოსიძემ.

ოჯახი და ჩვენ

დღეს შაბათია. „ჩვენი" სახლი უკვე „ჩემი" სახლია და იგი აღარ არის შენი სურნელით სავსე. არადა ახლა ეს სურნელიც მეყოფოდა ასატირებლად.

რაღაც, ალბათ, შეგვეძლო გვეღონა და არ ვიღონეთ...

ბევრი შევცოდეთ საკუთარი თავისა და ღმერთის წინაშე. ძალიან ბევრი...

რა საოცრებაა არა? და ერთ

„...და იქნებიან ორივენი ერთხორცნ"

კარგა ხანია არ მიტირია...

ოჰ, როგორ მინდა იმ მეგზურივით დაბრუნდე დიდი ხნით რომ...

გახსოვს?...

თუმცა ახლა აღარაფერზე ღირს საუბარი...

მე ახლა ყველაფრის შეჯამებას ვახდენ... დიახ, ყველაფრის... მომჯდარის და არ მომხარის...

საზარელია სიჩუმე და აღარავინ ცდილობს მის დარღვევას... არადა, როგორ მინდა...

„ცრემლების აორთქლების შემდეგ სახეზე სინანული რჩება. მარჯვენა სინანული... მარცხენა სინანული..."

მშვენიერ დღეს არაფრის გულისათვის კარგა ლაზათიანად მივბეგვავთ საკუთარ თავს, შემდეგ კი ბედისწერას ვაბრალებთ ყველაფერს... ესეც შენი ფატალიზმი!

ერთიანობამ მიუბოძა ცას სიწმინდე!

ერთიანობამ მიუბოძა სულს სილბო!

ერთიანობამ მიუბოძა ყოველ არსს სიცოცხლე-

ახლა კი ვხვდები, მაგრამ... ახლა გვიანია... ძალიან გვიანია... სამწუხაროდ, როცა რაიმეს ვკარგავთ, მაშინ ვხვდებით მის ჭეშმარიტ ღირებულებას.

თ. როგავა.

ფირმა „ჟუთავიოსერვისი" გთავაზობთ:

ავიაბილეთების დაჯავშნას ქუთაისის აეროპორტიდან შემდეგი მიმართულებით!

ქუთაისი—მოსკოვი	3—5—7	09.00	
ქუთაისის—კრასნოდარი	2—6	14—00.	
ქუთაისი—სოჭი	ყოველდღე	10.00	14.00.

ცნობებისათვის მიმართეთ ფირმის წარმომადგენლობას ზუგდიდის აეროპორტში.

ტელ: 2—29—78.

ნელარ მომიჯან ვარდებს, ძვირფასო!

ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მეგობრის დაბადების დღეს, ვარდების ყიდვა მოგენატროს, შემდეგ ბაზარში შეიარო და ხმის კანკალით იკითხოფასი.

ცეცხლმოდებულ, მოგუგუნე ბაზარში, სადაც ბობოქრობს ფულის ზოვნის ქინი, სათბურების ბატონ—პატრონნი, თუ... გადამყიდველები, სინდის-ნამუსთან ერთად ერთ ცალ ვარდს ყიდიან ორას მანეთად.

აბა, თუ ბიჭი ხარ და იყიდე ვარდები...

არა, ძვირფასო, ნუ მომიტან ვარდებს!...

ნანა ქოჩუა.

ვყიდი ოთხოთახიან ბინას ქ. ზუგდიდში ი. გრიშაშვილის ქ. №18—ში, იკითხეთ ნატო. დანარჩენი პირადად.

გაფრთხილდით

ცუდი ამბები მოდის სამყაროს ყოველი კუთხიდან. ბობოქრობს დედამიწა. ადამიანები ბევრს ლაპარაკობენ ბიბლიური აღსასრულის მოახლოებაზე— სხვა რითი აიხსნებაო ასეთი განუკითხაობა

...და ნაინც რას ამბობს წიგნთა—წიგნი? მსურს მკითხველს შევახსენო ერთი სიუჟეტი სახარებიდან, სადაც იესო თავის მოწაფეებს აუწყებს წუთისოფლის აღსასრულისა და ძე კაცისას დედამიწაზე დამრუნების ნიშნებს:

„მიუგო იესომ მათ პასუხად გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ. ვინაიდან ბევრი მოვა ჩემი სახელით და იტყვის: მე ქრისტე ვარ და მრავალს შეაცდენენ. ასევე მოისმენთ ომებსა და ხმებს ომების შესახებ. უყურეთ, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღსასრული. ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ, და იქნება შიმშილი და მიწისძვრანი ადგილ—ადგილ. მაშინ კადაგცემენ თქვენ წამებაზე და დაგხოცავენ. და შეგიძულებთ მთელი ერი ჩემი სახელის გამო. მაშინ ცდუნდება ბევრი: ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ ერთმანეთს მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი აღდგება და ბევრს შეაცდენს. და რაკი გამრავლდება უსჯულოება მრავალს გაუნელებს სიყვარულს. ბოლომდე მომთმენი გადარჩება და ექადაგება ეს სახარება სასუფევლის შესახებ მთელ მსოფლიოში ყველა ხალხის დასამოწმებლად. და მაშინ მოვა აღსასრული. ამრიგად, როცა იხილავთ გაპარტახების სიძაგლეს. წმინდა ადგილზე ნდგომ წინასწარმეტყველ დანიელის მიერ თქმულს, მაშინ ვინც იუდეაშია მთებში გაიქცნენ, და ვინც ერდოზე იქნება, ნუ ჩამოვა თავისი სახლიდან რაიმეს ასაღებად. და ვინც მინდორში იქნება, ნუ დაბრუნდება უკან თავისი ტანისამოსის ასაღებად, ხოლო ვაი, ორსულებს და მათ, ვინც ძუძუს აწოვებს იმ დღეებში. ილოცეთ, რომ არ მოხდეს თქვენი გაქცევა ზამთარში და შაბათს. ვინაიდან მაშინ იქნება დიდი ჭირი, როგორიც არ ყოფილა სამყაროს დასაბამიდან ამ ლანდ ნდე და აღარც არასდროს იქნება. და თუ არ შემოკლებულიყვნენ ის დღეები, ვერავინაირი ხორცეული ვერ გადარჩებოდა. ნაგრამ რჩეულთა გულისათვის, შემოკლდებიან ის დღეები". „ცა და დედამიწა გადაივლიან, ჩემი სიტყვები კი არ გადავლიან. მაგრამ იმ დღისა და ჟამის შესახებ არავინაცის, არც ზეციურმა ანგელოზებმა, არც ძემ, არამედ მხოლოდ ჰამამ. უყურეთ, იფხიზლეთ, ილოცეთ, ვინაიდან არაცით როდის დადგება ის ჟამი".

კადნიერება იქნება უბრალო ცოდვილისგან ზემოთ მოტანილი ციტატის კომენტირება. ერთს დავძენ მხოლოდ. როგორც იესო მიმართავს თავის მოწაფეებს: „ითმენებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი".

ნ. მიქაძე.

რუსუდან ნორაკიძე

ყველამ იცის, რომ დიდებულად შეასრულე ქართველი ქალის კუთვნილი როლი. გაულამაზე მას ლეჩაქის ციური ფერი. ნეტარებას უდრიდა შენი ყოველი სიტყვა. ლამაზად დაიწვი სანთელივით

ვარდობისთვეში დაემშვიდობე წუთისოფელს ბრუნვას. შეგიფარებენ სასაფლაოს კიპარისები—ამდენი სევდისა და მოთმენის შემდეგ.

წუხს საზოგადოება, შენი რედაქცია, სადაც იმ ხანად ციცქნა გოგონა გამოცდილი ჟურნალისტების გვერდით იღვწოდი, წერდი...

ახლა კი მინელდა ჩქამი. ალარა ხარ ფიქრიანი ლამაზი ქალი, სათნო დედა, ყველას მიმტეკებელი, ალერსიანი.

ღმერთო, იქ, სადაც ჩვენი რუსიკო განისვენებს ჯმოიყვანე ცოტა იები.

მეგობრები.

რეკლამა, რეკლამა

საქონლო ბირჟა—სახალხო მეურნეობის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანის ერთ-ერთი კლასიკური ნიმუშია. ამ მიზნით, ქალაქისა და რაიონის სამრეწველო და სასოფლო—სამეურნეო წარმოების ინიციატივით დაფუძნდა და რეგისტრაციაში გატარდა რეგიონალური სასაქონლო ბირჟა „ზუგდიდი".

ასეთი ბირჟის ფუნქციონირებამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო ზუგდიდის, არამედ რეგიონში ბაზრის ავტომატურთვითრეგულირებას, ბაზრის ცივილიზირებული ფორმების დანერგვას, თავისუფალ ფასწარმოქმნასა და საქონლის თავისუფალ რეალიზაციას.

მაშ ასე! ზუგდიდის რეგიონალური სასაქონლო ბირჟა მალე კარს გაუღებს დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

თქვენთვის საინტერესო ცნობების შესახებ მიმართეთ აგროსამრეწველო სამმართველოს.

ბირჟის ადმინისტრაცია.

ყაზეთ „ოდიშის" რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკები იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის

რუსუდან ვლადიმერის ასულ ნორაკიძე—ალანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ნაცნობები: ასმათი, თენგო ალანიები, დები ამური, გულიკო, სუსანა, სიძე გია ლიკლიკაძე, შვილიშვილი მსრიამი, მაზლი ჟუკური ალანია, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

რუსუდან ვლადიმერის ასულ ნორაკიძე—ალანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მაისს, შაბათს 17 საათზე, ფ. ალამიშენებლის 169.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-88-69. პასუხისმგებელი მდივნის 2-21 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25-12, რადიორედაქციის 2 47 00.

ტელეფონიზაციის ბიუროს ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-07, ტირაჟი 700 შეკ. №417